საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ-ს საბიბლიოთეკო რესურსის გამოყენებისა და შევსების პროცედურები

თბილისი
2020

საბიბლიოთეკო ფონდის დაკომპლექტება წარმოადგენს პროცესების ერთობლიობას რომელიც მოიცავს საბიბლიოთეკო რესურსების შერჩევას, შეძენას, მიღებას და რეგისტრაციას.

საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ-ს ბიბლიოთეკა ახორციელებს საბიბლიოთეკო დოკუმენტებით ფონდის სისტემურ შევსებას. უნივერსიტეტის პროფილიდან გამომდინარე, ირჩევს მასალებს კოლექციის განვითარების პოლიტიკის გათვალისწინებით, უნივერსიტეტის საზოგადოების ინტერესებისა და საჭიროებების დასაკმაყოფილებლად.

საბიბლიოთეკო რესურსის შეძენა/მოძიება ხდება სხავდასხვა ასპექტის გათვალისწინებით:

- ✓ შეძენის შესახებ მოთხოვნები მიიღება ფაკულტეტის ადმინისტრაციების, პროგრამების ხელმძღვანელებისა და განმახორციელებელი აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების ჩართულობით;
- ✓ რექტორის მხრიდან წიგნების შეძენაზე თანხმობის შემდეგ, ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი, უზრუნველყოფს შესყიდვის პროცესის წარმოებას (შესაბამისი წიგნების მოძიება, ინვოისის წარმოდგენა, ხელშეკრულების გაფორმება, ლოჯისტიკა, წიგნების ჩაბარება).

ბიბლიოთეკის სამუშაო ჯგუფი აფასებს ამ მოთხოვნებს შემდეგი კრიტერიუმებით:

- ✓ აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამების მხარდაჭერა;
- ✓ ფაკულტეტისა და სტუდენტების აკადემიური ინტერესების მხარდაჭერა;

ბიბლიოთეკას აქვს ფონდის შევსების შემდეგი პროცედურები:

- ✓ სასწავლო სემესტრის დასაწყისში, ყველა სასწავლო პროგრამის სილაბუსში მითითებული ძირითადი ლიტერატურის არსებულ ფონდთან შედარებისა და პროგრამის ხელმძღვანელთან შეჯამების შემდეგ, ლიტერატურის მოძიება/შეძენა;
- ✓ სასწავლო სემესტრის მიმდინარეობის პერიოდში, საჭიროებისამებრ, პროგრამის ხელმძღვანელის / დეკანის მიერ გაკეთებული მოთხოვნის საფუძველზე, კონკრეტული რესურსის მოძიება/შეძენა;
- ✓ აკადემიური პერსონალის მხრიდან გამოთქმული კონკრეტული რესურსის დადასტურებული მოთხოვნის საფუძველზე რესურსის მოძიება/შეძენა.
- ✓ წიგნის გამოცემის თანამედროვე მასშტაბებიდან გამომდინარე, ბიბლიოთეკა აქტიურად თანამშრომლობს გამომცემლობებთან, იღებს ინფორმაციას სხვადასხვა დარგში არსებული განახლებული ლიტერატურის შესახებ, ეცნობა სხვადასხვა შემოთავაზებებს, რის შესახებ, ინფორმაციას აწვდის უნივერსიტეტის აკადემიურ პერსონალს.
- ✓ საბიბლიოთეკო ფონდი, ასევე, იზრდება შემოწირულობის სახით მიღებული რესურსებით. შემომწირველები შეიძლება იყვნენ: ავტორები; კერძო პირები; სტუდენტები; საგამომცემლო საქმეში ჩართული სახელმწიფო და არასამთავრობო ორგანიზაციები. ბიბლიოთეკა მუდმივად ცდილობს მათთან კონტაქტების დამყარებას. შემოწირულობა შეიძლება იყოს ერთჯერადი ან სისტემატური. ხშირ შემთხვევაში, საჩუქრად მიღებული ლიტერატურა დეფიციტურია, რაც ზრდის ამ პროცესის მნიშვნელოვნებას სასწავლო პროცესისათვის.

ბიბლიოთეკაში სისტემატიურად წარმოებს საბიბლიოთეკო რესურსების გამოყენების სტატისტიკური მონაცემების ანალიზი. კერძოდ:

- ✓ ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზში თავს იყრის ინფორმაცია მკითხველთა მოთხოვნების ინტერესების გამოვლენის კუთხით. დაფიქსირებული ე.წ. „**უარები**“ მკითხველთა მოთხოვნებზე გვაძლებს ანალიზის საფუძველს, გავარკვიოთ რატომ ეთქვა უარი მკითხველს კონკრეტულ მოთხოვნაზე. თუ ეს კონკრეტული საბიბლიოთეკო რესურსის არასაკმარისი ოდენობით არის გამოწვეული, მაშინ ბიბლიოთეკა იწყებს ზრუნვას მოთხოვნილი ლიტერატურის ეგზემპლარების რაოდენობის ზრდაზე;

- ✓ ასევე, სამკითხველო დარბაზებში აღირიცხება ის ლიტერატურა, რომელზეც იყო მოთხოვნა, მაგრამ ვერ დაკმაყოფილდა ბიბლიოთეკაში კონკრეტული გამოცემის არარსებობის გამო. ბიბლიოთეკა დაუყოვნებლივ იწყებს ქმედებას მოცემული გამოცემის შეძენის მიზნით;
- ✓ საბიბლიოთეკო ერთეულის ბრუნვის სტატისტიკას, ასევე, ვიღებთ ბიბლიოთეკის ცირკულაციის ბაზიდან, საიდანაც ვიგებთ რა წიგნია ყველაზე მოთხოვნადი, რამდენმა სტუდენტმა ისარგებლა, რამდენმა სტუდენტმა დაჯავშნა და არის მოლოდინის რეჟიმში, რა წიგნების ნაკლებობას განიცდიან სტუდენტები და რა რესურსზე აკეთებენ განაცხადს რაოდენობის დამატების შესახებ. **ეს გვაძლევს ზუსტ სურათს განვსაზღვროთ:**
    - ➢ აკმაყოფილებს თუ არა არსებული ფონდი ბიბლიოთეკის მოთხოვნებსა და ამოცანებს, შეესაბამება თუ არა საბიბლიოთეკო ფონდი უნივერსიტეტის პროფილს, საგანმანათლებლო პროგრამების ინტერესებსა და მოთხოვნებს;
    - ➢ რა და რა ოდენობით აქვს უნივერსიტეტს მოსაძიებელი, დასამატებელი თუ შესაძენი სწავლება-სწავლის პროცესის მაღალხარისხოვნად წარმართვისათვის.

პერიოდულად, ბიბლიოთეკის უშუალო ჩართულობით, ტარდება მომხმარებელთა (აკადემიური პერსონალი, სტუდენტები) კმაყოფილების კვლევა, ფონდში არსებული ხარვეზების, მიმდინარე და პერსპექტიული საჭიროებების გამოსავლენად.

გამოკითხული მკითხველისგან შესაძლებელია მივიღოთ ინფორმაცია სარგებლობს თუ არა საჯარო ან სხვა ბიბლიოთეკებით და რამდენად ხშირად. თუ სარგებლობენ, რა ტიპის ინფორმაციის მოსაძიებლად. ეს გვაძლევს შესაძლებლობას გავარკვიოთ საკმარისია თუ არა უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის რესურსი მათი ინტერესების დასაკმაყოფილებლად. თუ ისინი უმეტეს შემთხვევაში იყენებენ პარტნიორი ბიბლიოთეკის ფონდს პირადი ინტერესებიდან გამომდინარე და დამატებითი ინფორმაციის მოსაძიებლად, ხოლო, მცირე ნაწილი ძირითადი ლიტერატურის მოსაძიებლად, ეს იმას ნიშნავს რომ მათ უნივერსიტეტის უზრუნველყოფთ სახელმძღვანელოებით და არ სჭირდებათ გარე რესურსების მოძიება.